საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/82 "17" ივნისი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

მ. ჯავახიშვილის ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4[1] პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, მაია ჯავახიშვილი 2021 წლის 18 ივნისიდან გამწესდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

მაია ჯავახიშვილის ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2021 წლის 22 თებერვლის №1/6 განკარგულებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის ბორჯომის მუნიციპალიტეტში ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2021 წლის 23 თებერვლიდან 9 მარტის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 16 კანდიდატი.

მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის მაია ჯავახიშვილზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35² მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 2021 წლის 29 მარტს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

მაია ჯავახიშვილს აქვს სპეციალობით მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება. იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვამდე და მას შემდეგ იგი იყო რამოდენიმე კომპანიის იურისტი და იურიდიული სამსახურის უფროსი.

მაია ჯავახიშვილი იუსტიციის უმაღლესი სკოლის პირველი ჯგუფის კურსდამთავრებულია.

მაია ჯავახიშვილმა გაიარა თეორიული სწავლების, სტაჟირებისა და სემინარული მუშაობის ეტაპები, წარმატებით ჩააბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა. მენტორების შეფასებით კანდიდატი იყო დისციპლინირებული მსმენელი.

სკოლაში სწავლის პერიოდში მას არ დაკისრებია დისციპლინური პასუხისმგებლობა.

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ მაია ჯავახიშვილს გაესაუბრნენ 2021 წლის 4 ივნისს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე.

<u>კანდიდატის შეფასება:</u>

2021 წლის 7 ივნისიდან 11 ივნისამდე პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12-მა წევრმა კანდიდატი მაია ჯავახიშვილი შეაფასა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

მაია ჯავახიშვილის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა 10-მა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს, ერთმა წევრმა მიიჩნია, რომ აკმაყოფილებს, ხოლო ერთი წევრის აზრით ის არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

საბჭოს წევრთა მიერ მაია ჯავახიშვილის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 929 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 77.42%-ია.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

2021 წლის 17 ივნისს ბორჯომის მუნიციპალიტეტში ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 12-მა წევრმა მიიღო, მაია ჯავახიშვილმა მოიპოვა 11 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე ბიულეტენში შეყვანილ იქნა 2 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, კერძოდ:

1. გზირიშვილი ალექსანდრე - 0 ხმა
2. ჯავახიშვილი მაია - 11 ხმა.

1 ბიულეტენი გაბათილდა.

<u>დასკვნა:</u>

კანდიდატის მაია ჯავახიშვილის კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა კანდიდატთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და შესაბამისად ბორჯომის მუნიციპალიტეტში ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესდა მაია ჯავახიშვილი.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი